№ 42. თებერვალი 26, ხუთშაბათი 1887 თებერვალი 26, ხუთშაბათი № 42

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთი ღირს

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ბ. ხიდდეველის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, ცენტრალურსა და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1887 წელიწადი

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1887 წელიწადი

დღესასწაულის გამო შემდეგი ნომერი გამოვა შაბათს, 28 თებერვალს

მარიამ გაბრიელის ასული მღებრიევისა გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებასა თვისის შვილისას, სიონის სობოროს მღვდლის **გრიგოლ სვიმონის-ძის მღებრიევისას** და სთხოვს მობრძანდნენ 27-ს თებერვალს ათს საათზედ ანჩხატის გალავანში გვამის გამოსასვენებლად.

ტფილისი, 25 თებერვალი

23-ს თებერვალს თ. ისაკ ადამის ძეს ანდრონიკაშვილს გადაუხადეს ორმოც-და-ათის წლის სამსახურის დღეობა. საზოგადოებამ თავისი პატივის ცემა და მადლობა საჯაროდ გამოუცხადა კაცს, რომელსაც არც სახელოვანი ომი მოუგია, არც ქვეყანა დაუპყრია, არც იმისთანა რამ მოუხდენია, რაც თავის თავად ჰყვირის, ჰხმაურობს და ბუკსა და ნაღარასა სცემს.

მაშ რამ გამოიწვია ეს საჯარო პატივისცემა და მადლობა? ნუ თუ მან, რომ კაცმა ორმოც-და-ათის წლის სამსახურს გაუძლო, ესოდენ ხანგრძლივად ჰზიდა ტვირთი სახელმწიფო თანამდებობისა? არა. ჩვენდა სასიამოვნოდ, ის უნდა ვაღიაროთ, რომ აქ, ამ ამბავში სხვა უმაღლესი ზნეობითი აზრია. მართალი მოახსენეს თ. ანდრონიკაშვილს: „ხანგრძლიობა რა არის? ეგ ჯანის სიმრთელის საქმეა. ჯანის სიმრთელე კიდევ ერთი უმაღლესი მადლია, რომელსაც კი ღმერთი მიანიჭებს ხოლმე მარტო თვის რჩეულსა, მაგრამ მაინც მადლია და არა ღვაწლიო.“ სასიქადულო და სასახელო თვით თ. ანდრონიკაშვილისათვის იგი ზნეობითი აზრია, რომელიც სათავედ უდევს მის დღეობის ამბავსა. აქ საზოგადოებამ ხანგრძლიობა მოღვაწეობისა კი არ დააფასა, არამედ ის, რომ ნახევარ საუკუნის განმავალობაში კაცმა არც ერთხელ არ უმტყუნა თავის მოვალეობასა, თავის თანამდებობასა და არც ერთხელ ცილის-წამებასაც-კი არ შეაბღალვინა თავისი წმინდა და პატიოსანი სახელი. მერე იცით რა მიზეზიანა იგი თანამდებობა მოსამართლისა, მსაჯულისა, რომელიც მთელი ორმოცი წელიწადი წილად ხვდა თ. ანდრონიკაშვილსა! ვინც ეს იცის, მან ისიც უნდა იცოდეს, რა დიდ ბუნებოვანობაა კაცის მხრით, რომ ცილსაც-კი ვერა გააბედვინოს-რა, ცილსაც-კი ენა მოსჭრას, ხმა არ ამოაღებინოს.

ყოველს ადგილას, ყოველს საქმეში—რაც უნდა ჩუმი იყოს რაც უნდა მცირე—ადამიანს შეუძლიან აღმოაჩინოს სიდიადე ღვაწლისა. ტყუილად კი არ არის ნათქვამი ერთის მეცნიერისაგან: „ვინც ორი მარცვალი მოიყვანა იქ, საცა მანამდე მარტო ერთი მარცვალი მოდიოდა, იგი ერთს უდიდესს სამსახურს უწევს კაცობრიობასაო“.

ამ წუთის სოფელში ადამიანს ბევრი და მრავალ სახის საქმე აქვს საკეთებელი როგორც კერძოდ თავის-თავისათვის, ისეც ზოგადად ყველასათვის. სათითაოდ ყველას ერთნაირი დანიშნულება არა აქვს, სათითაოდ ყველას რაიმე დანიშნულება კი უსათუოდ აქვს. მაღალი ზნეობის თვალის წინაშე სიდიდე ადამიანისა დანიშნულების სიდიდეზედ არ არის დამოკიდებული. მრავალ გვარია ნიჭიერება, ღონე და მიდრეკილება ადამიანისა. სიდიდე და ღირსება ის არის, ვინ როგორ აურჩია საქმე თავის ნიჭსა, ღონესა, მიდრეკილებასა და ვინ როგორ უძღვება. თვითონ საქმის მეტნაკლებობა აქ არაფერს შუაშია, დიდი და პატარა სულ ერთია: ოღონდ კაცმა იმას მიჰმართოს, იმას ჩაჰჭიდოს ხელი, რაზედაც გული მიუწევს და ნიჭი და უნარი მიუწვდება. უამისოდ ყოველი დიდი საქმე მცირეა და ამისით კი ყოველი პატარაც დიდია.

მოსამართლობა, მსაჯულობა ჩუმია, წყნარი, უხმაურო, უბუკნაღარო. ღვაწლი მოსამართლისა, მსაჯულისა ისეთი ერთიანი არ არის, როგორც, მაგალითებრ, ციხის აღება, ქვეყნის დაპყრობა, ომის მოგება და სხვა რამ ამ გვარი დიდი, თვალსაჩინო და ერთბამად დასანახავი საქმე, რომელიც ერთბამადვე აცვიფრებს ადამიანს. იგი განუწყვეტელი ძეწკვია ყოველ დღიურის ღვაწლისა; იგი ერთი ერთმანეთზედ ზედ ასხმული მარცვლებია ადამიანის საყოველ-დღეო მოქმედებისა. რამოდენად სინათლე და სიკეთე უნდა ჩააყოლოს კაცმა ამ უჩინარს მარცვლებს თავის განუწყვეტელის მოღვაწეობისას, რომ მათი კრებული იმად გამოჩნდეს, რასაც მოქალაქობრივს ქველობას ეძახიან და რაც სამართლიანად გამოიწვევს ხოლმე ქებას, დიდებას, პატივის ცემის და მადლობის გადახდასა. ერთის დიდის საქმით ამის დამსახურება იმოდენად ძნელი არ არის, ჩვენის ფიქრით, რაც ამ ხანგრძლივის დაუღალავის ღვაწლით, დღე მუდამ ერთი ერთმანეთზედ ზედ მიყოლილის სიკეთით მოპოებული. იმიტომ-რომ დიდი საქმე ზოგჯერ ბედისაგან წილად ხდომილია და ადამიანი მარტო ფარ-ხმალია, ბედისაგან არჩეული. აქ კი გამუდმებული თავ-დადება უნდა, დიდი გულ-მოდგინება, დიდი ღონე ზნეობისა, დაუცხრომელი სიყვარული, დაუღალავი ბეჯითობა და გაუტეხლობა გულ-პატიოსანის მუშაკისა და გამრჯელისა. ყოველივე ეს უნდა, რომ მარცვლეულობით ნაღვაწი ბოლოს იმოდენა ხვავად აქციოს კაცმა საზოგადოების თვალში, რომ საჯაროდ პატივისცემა და მადლობა გამოიწვიოს. აქ ადამიანი თაოსნობს, ირჯება და არა ბედი.

აი რას ვხედავთ და რას ვპოულობთ ჩვენ თ. ანდრონიკაშვილის დღეობაში მისდა ჭეშმარიტ სასიქადულოდ და სასახელოდ. თვით იგი საზოგადოებაც კი პატივით და სახელით მოსახსენებელია, რომელსაც თვალი უჭრის ამ გვარის ღვაწლის დასანახავად. ეს უტყუარი ნიშანია მის გონების ამაღლებისა, იმიტომ რომ უბუკ-ნაღარო საქმეს, ჩუმსა და უჩინარს სასარგებლო ღვაწლს ხორცის თვალი ძნელად მისწვდება. აქ გონების მჭრელი თვალი უნდა, რომ თვალად მცირენი, მაგრამ კეთილნი საქმენი, რომელნიც გამუდმებულ შრომით ერთმანერთზედ განუწყვეტლად აკინძულია, ზედ-ნაკეცია, იცნას დიდის ზნეობის საქმედ და პატივის ცემის ღირსად გაჰხადოს. დიდის დანახვა ადვილია, საქმე ის არის იმა ჩუმთა მუშაკთა უჩინარი ღვაწლი დაინახოს კაცმა, რომელთა ნაღვაწიც აცხოვრებს ქვეყანასა და დედა-ბოძად უდგა თვით საზოგადოებას.

ახალი ამბავი

⁂ ამ დღეებში გარდაცვალებული სიონის მღვდელი მამა გრიგოლ მღებრიშვილი, რომელსაც პარასკევს ასაფლავებენ, ახალგაზდა კაცი იყო ეს ოც-და-ათიოდე წლისა. მიცვალებულს ცოლ-შვილი არ დარჩა. ამ შვიდისა და რვა წლის წინად, როდესაც პირველად დაიწყეს ქართულის გალობის აღდგენის საქმე, მამა გრიგოლი კარბელაშვილებთან მხურვალე მონაწილეობას იღებდა გალობის საქმეში და ეკკლესიებში თვითონაც გალობდა და სხვებსაც ახალისებდა. წინად კიდევ სთარგმნიდა სახალხოდ დაწერილ სასარგებლო ქადაგებათა. მაგალითად, ოთხი მშვენიერი ქადაგება იყო მისგან ნათარგმნი სასოფლო გაზეთში პირუტყვის შებრალებაზე. ტფილისში მამა გრიგოლს იცნობდნენ, როგორც კეთილს მღვდელს და მეტად კეთილს კაცს.

⁂ ამას წინად ქალაქში გარდაიცვალა ადრინდელი ნოტარიუსი ალექსი პეტროვი, რომელსაც, როგორც ამბობენ, დარჩენია ორი ათას რვა ასი თუმანი და ამ ფულიდამ უანდერძებია რვა ასი თუმანი ტფილისის სასულიერო სასწავლებლისათვის. ზოგნი ამბობენ, ეს რვა ასი თუმანი რამდენისამე სასწავლებლისათვის (გიმნაზიისთვის, რეალურ და სასულიერო სასწავლებლისთვის) უანდერძებიაო. თუ ეს ამბავი მართალია, იშვიათ შემთხვევად უნდა ჩავთვალოთ, რადგანაც ქართველის კაცისაგან საზოგადო სამადლო საქმისათვის სიცოცხლის დროსვე ფულის გამოღებას და ან სიკვდილის შემდეგ ანდერძის დატოვებას ძნელად ვხედავთ. ამ კეთილ საქმეში სომხებს არა ვგევართ, არც სიცოცხლისა და არც სიკვდილის დროსა.

ფელეტონი

სამეცნიერო ამბები

(დასასრული *)

ამ სახით ადამიანმა თავისი უხილავი, საშინელი მტერი იცნა. ამასთან საომარს იარაღსაც მიაგნო. ეს იარაღი თვით ბუნებას მოუცია ჩვენთვის; ჩვენნი ერთგულნი დამცველნი, „თეთრი მარცვლები“, ჩვენს სისხლშივე ყოფილან დაბანაკებულნი და აქ უდარაჯებენ ჩვენს მტერს, „მიკრობსა“. მაგრამ ჩვენ მომხრეებს რომ ხშირადა სძლევენ მტრები? არ შეიძლება ამას ვუშველოთ რითიმე? ისეთს ვერას მოვახერხებთ, რომ „თეთრი მარცვალი“ უფრო გაღონიერდეს, გაძლიერდეს და მიკრობებს მედგრად დაუხვდეს? ადამიანი დაუფიქრდა და დღეს მეცნიერებამ ცოტად კიდეც მიაგნო ამ გვარ სახსარსა.

ყველამ იცის ადამიანის ერთი თვისება: ყველა ჭირს შეიჩვევს, შეითვისებს ხოლმე. შეთვისებული ჭირი ისე საშიში აღარ არის ადამიანისათვის, როგორც შეუთვისებელი, შეუჩვევარი. ტყუილად ხომ არ არის ჩვენში ნათქვამი: შეჩვეული ჭირი სჯობიაო. ეს იმასა ჰნიშნავს, რომ სენს, ჭირს, რაც უნდა საშიში იყოს, ადვილად აიტანს კაცი, თუ მიჩვეულია. აი მაგალითად ერთს ქვეყანაში მთის ხალხი დარიშხანას სჭამს, ვითომ იმის გულისთვის, რომ მუხლში ძალასა ჰმატებს და მთებში სიარულსა ჰშველის. ჩვენ რომ ერთი მეათედი ჩავყლაპოთ იმისა, რასაც ისინი ერთს ჯერობაზე ხმარობენ, ცოცხლები აღარ დავრჩებოდით, და იმათ კი არაფერს ავნებს. რადა? რადა და იმიტომ, რომ ისინი პატარაობიდამვე არიან შეჩვეულები დარიშხანის ჭამასა. არ შეიძლება ჩვენც ამ გვარად ნელ-ნელა შევაჩვიოთ ჩვენი აგებულება სხვა-და-სხვა გვარად საწამლავებს? ეს „მიკრობებიც“ ხომ საწამლავისავით მოქმედობენ ჩვენს ტანში და ამით მსძლეობენ ხშირად „თეთრ მარცვალს“, მაშ არ შეიძლება ეს „თეთრი მარცვალი“ ისე შევაჩვიოთ და გავამაგროთ, რომ „მიკრობებთან“ მერე ბრძოლა ადვილად შესძლოს?

პირველად ეს სცადა ინგლისელმა ჯენერსმა, ძროხის ჩირქი რომ გადაიტანა ადამიანზე და ყვავილი აუცრა. რა ჰქონდა ჯენერს აზრად? ისა, რომ ყვავილის „მიკრობისთვის“ შეეჩვია ჩვენი „თეთრი მარცვალი“. მერე თუ ადამიანს შეეყრებოდა ნამდვილი ყვავილი, „თეთრი მარცვალი“ შეჩვეული იქნებოდა და ადვილად აიტანდა ყვავილის „მიკრობებთან“ ომსა. ეს ღონისძიება მართალი გამოდგა. დღეს ყვავილი ისეთი საშინელი სენი აღარ არის, როგორიც უწინ იყო. დღეს თუ ადამიანს ყვავილი აცრილი კარგადა აქვს, მართალი ყვავილი დიდს ვნებას ვერ მისცემს: ადამიანს საშინლად აღარ ამახინჯებს, აღარ სჯიჯგნის.

ეს პირველი ფეხის გადადგმა იყო. მეცნიერება დღეს უფრო შორს წავიდა. ვის არ გაგიგონიათ პასტერის სახელი. საფრანგეთის გამოჩენილმა მეცნიერმა უკვდავი სახელი დაიგდო, დიდი სამსახური გაუწია კაცობრიობას. პასტერმა წამალი უპოვა საქონლის ერთ ნაირ ჭირსა, რომელსაც „ციმბირის წყლულს“ ეძახიან და რომელსაც ასეთი დიდი ზარალი მოაქვს ადამიანისათვის, და თავიდამ ააშორა ადამიანს ერთი საზარელი სენი, რომელსაც ცოფს ვეძახით. მართალია, ცოფის წამალი ხალხმაც იცოდა და ზოგჯერ კიდეც რჩებოდა დაცოფილი, მაგრამ ეს წამალი მაინც საეჭვო იყო და არც ყოველ ავადმყოფს ჰშველოდა, პასტერის წამალი-კი უებარია. ეს წამლობა აი რაზეა დამყარებული.

ცოფის მომავლინებელიც ერთ გვარი „მიკრობებია“. დაცოფილს ადამიანს ეს მიკრობი უჩნდება ჯანში. ცოფი მალე არ ერევა ადამიანსა.

კარგა ხანი გაივლის ხოლმე, მანამ ცოფის „მიკრობი“ ძალას გამოიჩენს და დაესევა „თეთრ მარცვალს“. ამიტომ თუ ადამიანმა მოასწრო, და „თეთრი მარცვალი“ შეაჩვია ცოფის „მიკრობს“, მერე ამათთან შეჭიდება და ამათი დაძლევა ძნელი აღარ იქნება.

აი პასტერიც სწორედ ამას სჩადის. რომელსამე ცხოველს, მაგალითად, კურდღელს აცოფიანებს. როცა კურდღელი მოკვდება, ამის ჩირქს იღებს. ამ ჩირქს დიდს ხანს ისეთს სიცხეში ინახავს, რომ ცოფმა თავის ძალა თითქმის სრულიად დაკარგოს. მერე ამ ჩირქს წყალში ჰქნის და ამ გვარად წყალში გალესილ ჩირქს უცრის ავადმყოფს. ამ ჩირქს ძალა თითქმის სრულიად არა აქვს, ასე რომ ამით ცოფი ვერ შეეყრება ადამიანსა. რამდენისამე ხნის შემდეგ კიდევ უცრის და უფრო ძლიერ ჩირქს იღებს, მესამედ კიდევ უფრო ძლიერს და ასე ამ გვარად იქამდინ უცრის, მანამ ბოლოს ნამდვილ ცოფის ჩირქს არ აუცრის. ამ გზით ადამიანი ისე ეჩვევა, რომ მერე თუ გინდ ნამდვილი ცოფიც მოერიოს, ველარას დააკლებს. რადა? იმიტომ

---

*) იხ. „ივერია“ № 41.

⁂ რკინის გზის გამგეობა აცხადებს, რომ ყვირილასა და ხაშურის შუა მიმოსვლა მატარებელთა 27 თებერვალს დაიწყობა, თუ კიდევ ნამქერებმა არ გადასილა ლიანდაგიო.

⁂ 27 თებერვალს, საღამოს $7\frac{1}{2}$ საათზე, დანიშნულია კრება კავკასიის სამეურნეო საზოგადოების წევრთა. კრებამ უნდა მოისმინოს ანგარიში ლერისიესი აზრეშუმის მოყვანის თაობაზე 1886 წ. და მოხსენება დინგელშტეტისა: ჩაის მოყვანა ინდოეთში და ამიერ-კავკასიაში. კრებაზე არა-წევრთაც შეუძლიანთ დაესწრონ.

⁂ ამას წინად კუკიის ხიდზე გაიმართა ერთი ახალი წიგნის მაღაზია. დღეს ეს წიგნის მაღაზია უკვე დაუკეტნია პატრონს სულ სამისა და ოთხის თთვის არსებობის შემდეგ.

⁂ ჩვენ შევიტყვეთ, რომ ტფილისის სომხური სათეატრო დასი 5 მარტს კონცერტის გამართვას აპირობს. შემდეგ დასს განზრახვა აქვს წავიდეს ბაქოს და იქ გამართოს კიდევ სამი კონცერტი.

⁂ ამ თებერვლის მიწურულებში ტფილისშიაც ცუდი ამინდები დაიჭირა. სამი-ოთხი დღეა ძრიელი და მძაფრი ქარები ჰქრის. დილითა და საღამოთი საკმაოდ ცივა. შეშა ბლომად შემოდის, მაგრამ საშინლად ძვირადა ფასობს. შუა ზამთარში ისეთი ფასი არა ჰქონია შეშას, როგორიც ეხლა აქვს. ურემი შეშა, რომელიც წინად 3 და 4 მანათად იყიდებოდა, ამ ჟამად 7 და 8 მანათად და კიდევ მეტადაც იყიდება.

⁂ ქართლში ამ ჟამად დიდი სიცივეები დაუჭერია. სიცივეებს კიდევ ჯანი გავარდეთ, რომ დიდი ქარები არა ჰქროდესო. ქარმა სულ მოსთხარა დახნული მიწები და მინდორში გააბნიაო. სადაც ჯერ კიდევ თოვლი არ აუღია, იქ კიდევ არა უშავთ-რა, მაგრამ სადაც თოვლი აიღო და ქარი ძრიელა ჰქრის, იქ კი ლამის ფუჭად ჩაუაროს ხალხს შემოდგომის ნახნავებმაო.

⁂ სომხურ გაზეთს „მშაკში" იწერებიან ერევნიდგან, რომ ხორბლისა და ფქვილის ფასმა მოიმატაო. თითო ხალვარის ფასი (ოც-და-ათი ფუთი) 22—23 მანათიდამ 26 მანათამდე ავიდაო.

⁂ ფოთიდგან იმავე გაზეთში იწერებიან, ხორბლის მყიდველი ვაჭრები აქ ძალიან გამრავლდნენო. ევროპაში დაბარებული შავი-ქვა (მარგანეცი) ბლომად მიღებულია გასაგზავნად. უმეტესი ნაწილი ყვირილის ახლო-მახლო ადგილებიდგან არის გამოტანილიო.

⁂ იმავე გაზეთში კახეთიდგან, ბათუმიდგან, ფოთიდგან, ერევნიდგან და ახალ-ბაიაზეთიდგან ძრიელ უჩივიან სიცივეს, ავდარს და თოვლსა. ბათუმში წვიმები ყოფილა შეუწყვეტლად და ამ წვიმებს მეტის-მეტი სიცივეც თან მოჰყოლია. ზღვაზე ფურთვენაო.

⁂ გაზ. „ნოვ. ობოზ." ამბობს, რომ ამ ბოლოს დროს დიდ-ძალი ღვინოები მოაქვთ ტფილისში სპარსეთიდგანაო. ამ ღვინოებს ხმარობენ კახურის ღვინოების შესაზავებლადაო. სპარსული ღვინო თავის-თავად არ ვარგა სასმელად, თუმცა-კი მაგარიაო.

⁂ გაზ. «კავკ. მიმოხილვა» ამბობს, რომ ექიმმა ქალმა სამოილოვიჩმა კვირას, 22 თებერვალს, უკანასკნელი ლექცია წაიკითხა ანატომიიდგან მასწავლებელ ქალთა საზოგადოების წევრთათვისაო. მერმისს ამავე წევრთათვის გაიმართება ლექციების კითხვა ფიზიოლოგიიდგანაო, ხოლო წელს-კი ბ-ნი ნ. ცხვედაძე, საქალებო ინსტიტუტის მასწავლებელი წაიკითხავს რამდენსამე ლექციას, პედაგოგიიდგან იმავე საზოგადოების წევრთათვისაო.

⁂ გაზ. „კავკაზი" ამბობს, რომ ცოფიანის კატისაგან დაგლეჯილი ყმაწვილი ვანო ახარიძე ასე 14 წლისა იქნება, სრულიად ობოლია და არავითარი საშუალება არა აქვსო. ექიმმა რუდკოვსკიმ და შენფოგელმა დაამტკიცეს, რომ ის კატა, რომელმაც დასცოფა ეს ყმაწვილი და რომელიც მაშინვე მოჰკლეს, ნამდვილად ცოფიანი აღმოჩნდაო. ბ-ნმა გუბერნატორმა სთხოვა ქალაქის თავს, რომ თუ ქალაქს შეუძლიან, დაეხმაროს როგორმე დაცოფილს ყმაწვილს და ოდესაში გაჰგზავნოს მოსარჩენადაო.

* * *

ტფილისის ქალაქის საბჭო

(23 თებერვლის კრება)

(შემდეგი*)

მეორე საგანი ბ-ნის **იოანესიანის** მოხსენება იყო. ბ-ნმა იოანესიანმა მოახსენა საბჭოს, რომ ქალაქის სამმართველოში მოსამსახურეთ დღემდე ყოველ-წლივ ეძლეოდათ წლის ბოლოს ფულად საჩუქარი, მხოლოდ შარშან ამ ჩინებულს ჩვეულებას საბჭომ უღალატაო და კეთილ-სვინიდისიერი შრომა მოსამსახურეთა არ დააფასაო. თუმცა ეს საგანი საბჭომ მოისმინა და, ფულების უქონლობისა გამო, ამაზედ უარი განაცხადა, თუმცა მომავლისათვის ხარჯთ-აღრიცხვის სიაში შეტანაც დაადგინეთ იმ ფულისა, რომელიც საჩუქრად უნდა დაურიგდესთ ქალაქის სამმართველოში მოსამსახურეთ, მაგრამ წარსულის 1886 წლის სამსახური მაინც დაუჯილდოებელი რჩებაო. ბ-ნი **იოანესიანი** ითხოვდა ყველა მოსამსახურეთათვის 500 თუმნამდე.

ბ-ნი **კაიდონოვი**. ეს საგანი გადაეცეს საფინანსო კომისიას; იმას შეუძლიან, თუ საჭიროდ დაინახავს, შემოიტანოს თავისი აზრი აქ, საბჭოში და ჩვენც მაშინ განვიხილოთ. ეხლა ჩვენ არ შეგვიძლია ფულის გადაჭრა, ამით ჩვენ ხელს შევუშლით საფინანსო კომისიას.

ბ-ნი **იოანესიანი**. იმის დასამტკიცებლად, რომ მართლა დიდი ჯაფა მიუძღვით, მაგ., ბიუროში მოსამსახურეთ, მოიყვანა რიცხვები, საიდგანაც აღმოჩნდა, რომ მართლა ამ ბიუროში მოსამსახურეთა შემწეობით თუ შემოსულია ქალაქს გადასახადი ფულები, ძველიცა და ახალიც.

ბ-ნი **ბებუთოვი**. საჭიროა წარმოთქმულის რიცხვების შემოწმება.

ბ-ნი **იოანესიანი**. ეს რიცხვები მე ჩემით არ შემითხზავს—ესენი ამოკრებილი მაქვს საბუთებიდამ, თვით ბუხგალტერიის დავთრებიდგან.

ბ-ნი **თამამშოვი**. ამ ჟამად ცნობაში მოჰყავთ ბიუროს ოთხის წლის მოქმედება; ჩემის აზრით, სჯობია მოვუცადოთ ამ კომისიას და როცა რომ მართლა დაწვრილებით გავიგებთ ამ მოქმედებას, მაშინ უფრო შევიძლებთ დავაფასოთ აქ მოსამსახურეთა შრომა.

ბ-ნი **კალუბანსკი**. თავდაპირველად მოსამსახურეს შრომა უნდა დაფასდეს და გადასწყდეს, ღირსია თუ არა იმისი შრომა დაჯილდოვებისა და მხოლოდ შემდეგ ამისა გადაეცეს ეს საგანი საფინანსო კომისიას. ამასთანავე ისიც უნდა მოგახსენოთ: როცა საჩუქრებზედ ლაპარაკი გვქონდა, მე მაშინ ვსთქვი, რომ სახელოსნო სასწავლებელმა გადაარჩინა თავის ხარჯიდგან ოთხმოც თუმანზედ მეტი-მეტი და ვითხოვე, ეს ფული საჩუქრად დაჰრიგებოდა ამ სასწავლებელში მყოფ მასწავლებელთა. დღესაც ვიმეორებ ამ ჩემს წინადადებას და ვითხოვ, არ დაივიწყოთ ეს სასწავლებელი, მით უფრო რომ თავის შვიდის წლის არსებობის განმავლობაში ერთხელაც არ დაგვისაჩუქრებია იქ მოსამსახურენი—მათი კეთილ-სვინიდისიერი და სასარგებლო შრომა.

ბ-ნი **მუცაფოვიჩ** იმას თხოულობს, რომ დღესვე გადაწყდეს ეს საგანი და საფინანსო კომისიას არ გადაეცეს. მე თანახმა ვარ, 500 თუმანი დაინიშნოს ამ საგნისათვისაო.

ბ-ნი **იოანესიანი**. ეხლა მხოლოდ საზოგადოდ დავადგინოთ, რომ მოსამსახურენი უნდა დავასაჩუქროთ. აქ ლაპარაკობენ, რომ ქალაქს ხარჯი მეტი აქვს შემოსავალზეო. ჩემის აზრით, ეს გარემოება აქ მოსატანი არ არის და სხვა დაწესებულებანი რომ ავიღოთ, მაგალითებრ «საურთიერთო ნდობის ამხანაგობა» და «საკომერციო ბანკი», აქ ვნახავთ, რომ მოსამსახურენი ყოველ წლივ იღებენ საჩუქრებსა. ამ საგანს იმ თვალით უნდა შევხედოთ, რომ გასამჯელოს სამაგიეროს გადახდა უნდა.

ბ-ნი **მაჩაბელი**. აქ საზოგადოდ ლაპარაკობენ გასამჯელოზედ. ეს საგანი ორად უნდა გაიყოს, ჩემის აზრით, გასამჯელო ბიუროში მოსამსახურეთათვის და გასამრჯელო—დანარჩენებისათვის. რომ ბიურო არა ყოფილიყო, ქალაქის ხარჯი უფრო მეტი იქმნებოდა შემოსავალზედ. ამას გარდა, როცა ბიუროში მოსამსახურენი მოიწვიეს, იმათ უთხრეს, რომ ჯამაგირს გარდა სხვა გასამჯელოც მოგეცემათო, იმის მიხედვით, თუ როგორ ეცდებით, რომ ბიურომ თავის დანიშნულება კარგად აასრულოსო. ამის გამო დღეს ჩვენ პირ-და-პირ მოვალენი ვართ მივუწყოთ დაპირებული ბიუროში მოსამსახურეთ იმ განაჩენის ძალით, რომელიც წარსულ საბჭოს დაუდგენია.

თუმცა ბევრნი წინააღმდეგნი იყვნენ გასამჯელოს მიცემისა, მაგრამ ბ-ნის მაჩაბლის სიტყვის შემდეგ საბჭოს უმეტესობამ აზრი იცვალა და ხმის უმეტესობით დაადგინა, რომ ეს საგანი გადაიდვას გასარჩევად, სანამ ბიუროს ოთხის წლის მოქმედების ანგარიშს (რომლის შედგენისათვის კიდეც მიუყვიათ ხელი) არ წარმოგვიდგენენო.

(დასასრული იქნება)

სიტყვა სიღნაღის მაზრის თავად-აზნაურობის წარმომადგენლისა:

თავადო იასე ადამის-ძევ!

ბედნიერი ვარ, რომ დღევანდელ თქვენთვის დაუვიწყარ დღეს მე წილად მხვდა სიღნაღის, თქვენის სამშობლო მხარის თავად-აზნაურობის მაგივრად მოგილოცოთ თქვენი 50-წლის სამსახური მეფისა და მართლ-მსაჯულობისა.

ეს დიდი, სადღესასწაულოდ მომზადებული კრება, ეს თითქმის მთელის სასამართლოს წარმომადგენელნი, რომელნიც შეკრებილან აქ, სადაც თქვენ ორმოცის წლის განმავლობაში მხოლოდ ჭეშმარიტებას და სიმართლეს ემსახურებოდით,—ყველა ეს ცხადი და უტყუარი მოწმეა იმ დიდის პატივის-ცემისა, რომელიც თქვენ დაგიმსახურებიათ როგორც თქვენის ამხანაგებისა, ისე მთელის საზოგადოებისაგან.

სიღნაღის თავად-აზნაურობას, რომლის წარმომადგენლად მე გიახელით აქ თქვენთან, თამამად შეუძლიან თავმოწონებით სთქვას, რომ ასეთის ღირსებით აღსავსე მოხუცი ჩვენის ქვეყნის შვილია, ჩვენში დაბადებულიო.

თქვენ მარტო იმითი არ დაიმსახურეთ ყველას სიყვარული და პატივისცემა, რომ ორმოც-და-ათს წელს პატიოსნად ემსახურეთ ტახტსა და მამულსა. ჩვენ ყველამ კარგად ვიცით თქვენი კეთილი, შემატკივარი გული, ვიცით, რომ თავს არა ზოგავდით გაჭირებულ მეზობლისათვის. ყველამ ვიცით აგრეთვე, როგორ სცდილობდით ქართველთა ახალგაზდობის აღზდისა და განათლებისათვის და რა სიყვარულით ეძლეოდით ამ საქმესა. თქვენმა ცდამ ნაყოფიც მოიტანა :

რომ „თეთრი მარცვალი" თან-და-თან შეეჩვია ცოფის „მიკრობს" და მერე, როცა ერთბაშად „მიკრობები" მიესივნენ, ისე გავარჯიშებული და შეჩვეული იყო ამათთან ბრძოლასა, რომ აღარ შეუშინდა, მაგრად დახვდა და კიდეც დაამარცხა.

ეს პირველი გამარჯვება იყო და დიდი გამარჯვებაც. უხილავი მტერი დღეს ისეთი საზარელი აღარ არის, როგორც აქამდინ იყო. ეჭვი არ არის, რომ ეს სახსარი, რომელიც ასე ძლევამოსილად იხმარა პასტერმა ცოფის „მიკრობის" სამტროდ, სხვა „მიკრობებისათვისაც" გამოდგება. და აი მართლაც, ხოლერის აცრა კიდეც სცადეს. მართალია, ამ ცდას არა მოჰყვა რა, მაგრამ რა ეუყოთ, ხომ ნათქვამია, ცდა ბედის მონახევრეაო. დღეს ვერ მოხერხდა რაიმე მიზეზის გამო, ხვალ უთუოდ მოხერხდება. საქმე იმაშია, რომ სათავე ნაპოვნია; რაკი ეს შესძლო მეცნიერებამ, ახლა კი გზა ადვილად გაიკვლევა.

როდესაც მეცნიერების ახალ რაიმე შეძენას, გამარჯვებას ჰხედავ, სიამოვნებას ჰგრძნობ და თან გიკვირს კიდეცა. სად არა სწვდება ადამიანის გონება? მაღლა, ცაში მნათობთა ვითარება შეიტყო, აქ რაღაც თვალ-გადუწვდენელი და ამასთან უხილავი ქვეყანა აღმოაჩინა, რომელიც ისეთისავე უხილავის ცხოველებით ყოფილა დასახლებული!

დონ-იაგო

* * *

კიდევ ჩვენებურ გამსესხებელ-შემნახველ ამხანაგობათა ვითარების გამო.

(დასასრული *)

წესდება კუხისა და გუბის გამსესხებელ-შემნახველის ამხანაგობისა, მაგალითად, დამტკიცდა 1883-სა წელსა აპრილის ხუთსა; ამის შემდეგ საჭიროა შეკრბნენ დამფუძნებელნი ამა ამხანაგობისა, ოცამდე მაინც ამხანაგნი, გამოიღონ ხუთ-ხუთი თუმანი წილის ფული, აღმოირჩიონ თავიანთ შორის გამგეობა ამხანაგობისა და ამ გამგეობას გადასცენ ეს ფული; გამგეობა ჩასწერს მიღებულის ფულებს ამხანაგობის დავთრებში და შემდეგ დაჰნიშნავს ერთს რომელსამე დღეს, როდესაც მსურველნი ამხანაგნი თავის ფულზედ მეტს ან ნაკლებს უკანვე ისესხებენ... აქ არ გვასვენებს ორი შემდეგი უმთავრესი საგანი, რომელთა ასე თუ ისე გადაწყვეტაზედ სრულიად დამოკიდებულია ამხანაგთათვის ამხანაგობის გამართვა, ან მიძინება მისის საქმისა სამერმისოდ და სამერმისოდ, და აი ამ უკანასკნელს შემთხვევაში დაიბადება მხოლოდ ისეთი ამხანაგობა, რომელზედაც ვამბობთ ხოლმე: „ჯერ ცნობას არ იძლევაო". ეს ორი საკითხავი საგანი არის: 1) აქვს სოფლის კაცს თავისუფალი 50 მანათი, რომ ერთს დანიშნულს დღეს ამოიღოს ჯიბიდან და მიაბაროს ამხანაგობის კასსას გასასესხებლად? და 2) თუ ფული აქვს, ახლა ისიც უნდა ვიკითხოთ, ნდობაცა აქვს ამ სოფლის კაცს გამგეობისა ან საგამგეობლად ამორჩეულ კაცებისა, რომ არა შიშობდეს ფულის ხელიდან გაშვებას? სწამს მას ამხანაგობის წესდების ძალა და სხვა ამისთანები? აქ ერთობ დიდი მოედანი ეძლევათ ენის მუშაობისათვის ყველა ურწმუნოთა და ამხანაგობის ბოროტის მსურველთა; სწორედ ამ დროს გახშირდება ხოლმე გახმობ-გამოხმობა, გაიდგამს ფესვს მითქმა-მოთქმა, მოძმისათვის ვითომ გულ-შემატკივრობა, რომელიც (მოძმე) უტკივარ თავს ვითომ ძალით იტკივებს, ფულებს ჰლუპავს და სხვა-და-სხვა. აქვე გაიხსენებენ პურის მაღაზიების ისტორიას და სხვასა-და-სხვასა... ყოველივე ეს გამოსცადა ჩვენმა კუხისა და გუბის ამხანაგობამ; ამაზედ მიილია ძალა და ღონე, დაკარგა ხალისი ნაფარეულის ამხანაგობის გამგებლად ნამყოფმა ს. წერეთელმა, ჯიხაიშის ამხანაგობის გამგებლად მყოფმა მღვ. პეტრე ცაგერეიშვილმა. ამათ ამ ბოლოს დროს უშველათ მხოლოდ საქმისთვის თავ-გამოდებულმა და სიტყვა წყლიანმა ბ-ნმა ვ. ალშიბაიამა, რომელმაც დაუმტკიცა ამხანაგებსა, რომ თქვენი ფული ამხანაგობაში არ დაიკარგებაო. მართალია, აქ ამ შემთხვევაში საქმე გაგვიძნელა განსაკუთრებულმა მიზეზებმაც: ერთის მხრით ამხანაგობის დაარსებას ხელს უშლიდა ამავე სოფლის საზოგადოებაში მყოფი ჯიხაიშის ამხანაგობა და მეორეს მხრით ხონის აწ განსვენებული ამხანაგობა, რომლის აფუშული საქმეები აფთხობდა ხალხსა; მაგრამ ისიც კი უნდა ვსთქვათ, რომ თუნდა ასეთი განსაკუთრებული მიზეზებიც არა ყოფილიყო, არ შეიძლება რაიმე დაბრკოლება არ აღმოჩნდეს და არ გაძნელდეს პირველად საქმე, მეტადრე როდესაც ეს საქმე ახალია.

ვთქვათ, სძლია ამხანაგობამ თავდაპირველი სიძნელე და დაიწყო მოქმედება... ამხანაგებმა, ჩვეულებრივად, თავის ფულზედ მეტი ისესხეს ამხანაგობიდან... თამასუქებს ჯერ ვადა არ გასვლიათ... იძვირა ფულმა და ბოლოს სულაც გასცხდა: კასსა დაცარიელდა... აქ იბადება პირველი დაბრკოლება ამხანაგობის მოქმედების დაწყების შემდეგ.

ასეთის გაჭირვებისაგან გამოიხსნა ჯიხაიშის ამხანაგობა განსვენებულმა ბესარიონ ღოღობერიძემ, რომელმაც,

---

*) იხ. „ივერია" № 41.

*) იხ. „ივერია" № 40.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქვენის ზნეობით ზედ-გავლენის თუ ხელის გამართვის მადლობელნი უნდა იყვნენ, რომ დღეს ბევრი ახალგაზდა თავად-აზნაური უკვე დაადგა განათლების გზას, იმ გზას, რომელმაც თქვენ ასეთ ღირსებამდე მიგიყვანათ, რომ დღეს ასეთის დიდებით საქვეყნოდ პატივსა გცემენ.

სიღნაღის თავად-აზნაურობა დიდს გულითადს მადლობას გიძღვნით თქვენ, ძვირფასო თავადო, და სთხოვს ყოვლად-უზენაესსა, ხანგრძლივი იყოს თქვენი ბედნიერი ცხოვრება, იცოცხლოთ მრავალს წელს და ემსახუროთ ტახტსა და სამშობლოსა.

სიტყვა ტფილისის გუბერნიის თავად აზნაურების წარმომადგენლისა:

თქვენო ბრწყინვალებავ,
თავადო იასე ადამის-ძევ!

ქართველ თავად აზნაურობის წარმომადგენელი, თავად-აზნაურთა მაგივრად და აგრეთვე საკუთრად ჩემადაც გილოცავთ თქვენ, რომ 50 წელიწადი ემსახურეთ ტახტსა და მამულსა და 40 წელიწადი მარტო სასამართლოს სამსახურში გაატარეთ.

მე აქ აღარ გავიმეორებ იმასა, როგორ და რა ღირსეულად გაატარეთ თქვენი სამსახური, როგორც მსაჯულმა, ამაზედ საკმაოდ ილაპარაკეს სხვებმა, თქვენმა თანამოსამსახურეებმა.

ჩვენთვის სასიამოვნო მხოლოდ იმის ნახვაა, რაც არ გვენახა და რაც დიდის ერის რომაელების ისტორიამ გარდმოგვცა, იმ რომაელებისა, რომელნიც მამულის უკეთეს შვილებს საქვეყნოდ მადლობას უხდიდნენ და ნიშნად მთელის ერის სიყვარულისა და ყურადღებისა საჩუქრებს უძღვნიდნენ.

და აი დღეს ჩვენც ამ გვარსავე ამბავს საკუთარის თვალითა ვხედავთ, ვხედავთ, რომ საქვეყნოდ პატივსა გცემთ თქვენ კავკასიის სასამართლოს უწყება და ამასთან ყველანი, ვინც რუსეთის დიდს იმპერიას ეკუთვნიან.

ბედნიერება, ჯანის-სიმთელე, სიყვარული მეგობრებისა და ყველასი, ვინც თქვენ გიცნობენ, იშვიათი ხვედრია კაცისათვის და თქვენ კი ყველა ეს ბედმა წილად გარგუნათ, ამიტომ სახელი თავად იასე ადამის-ძის ანდრონიკაშვილისა დიდს, დიდს ხანს დაუვიწყარი იქნება.

ილია ჭავჭავაძემ ეს სიტყვა მოახსენა თ. ანდრონიკაშვილს მის სახლში, როცა იქ თავად-აზნაურობა გუბერნიის მარშლის წინამძღოლობით იყო მისალოცავად შეკრებილი.

„მე პატივი დამდეს მოგილოცოთ ეს დღეობა ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის სახელითა. თქვენ მსახურობდით ბანკს მთელი ათი წელიწადი იმ გულ-მოდგინებით და სიყვარულით, რომელიც თქვენს მეორე ბუნებას შეადგენს. თუმცა მე აქ ელაპარაკობ ბანკის სახელითა, მაგრამ იმედი მაქვს არ ვუმტყუნებ საზოგადო გრძნობას აქ თანა-დამსწრებისას, თუ ვიტყვი, რომ აქ არავინ ჩვენგანი არ მოსულა იმისათვის, რომ მარტო ორმოც-და-ათი წლოვანობა თქვენის სამსახურისა მოგილოცოთ. დღე-გრძელობა ჯან-მრთელობის საქმეა. მართალია, ჯან-მრთელობა ერთი უმაღლესი მადლია, რომელსაც კი ღმერთი აღირსებს ხოლმე მარტო თავის რჩეულთა, მაგრამ მაინც მადლია და არა ღვაწლი. არა-წელთა რიცხვმა, რომელნიც გაგიტარებიათ თქვენ სამსახურში, მოგვიწვია ჩვენ აქა, არა. ამ მილოცვაში სხვა უფრო მეტი ზნეობითი აზრია, ვიდრე ეგე სჩანს პირველ შეხედვით. აი ამ ზნეობითის აზრის ძალით თვითონ მილოცვის ამბავს სხვა უმაღლესის შუქის ნათელი ადგება. ეს ამბავი ამით, ამ შუქით იმის მოწმადა ჰხდება, რომ ჩვენმა საზოგადოებრივმა თვით-ცნობამა მიაღწია იმ მოქალაქობრივ მშვიდობიან ქველობის შემჩნევისა და დაფასების სიმაღლემდინა, რომელიც უხმაუროა და ხშირად თვალ-წინ გაგვირბენს ხოლმე შეუმჩნევლად ამ ცხოვრების არეულ მიმოსვლაში, მაგრამ მით არა ნაკლებ საგულის-ხმოა თავისის საზნეო და სამექმეო მნიშვნელობითა კაცთა ცხოვრებისათვის.

ბატონო იასე ადამის ძე, დღეს შეგისრულდათ ორმოც-და-ათი წელიწადი მას აქედ, რაც სამსახურში ბძანდებით. ამათგან ორმოცი წელიწადი მართლ-მსაჯულობისათვის შეგიწირავთ. ღვაწლი მსაჯულისა არ არის ბუნებითად ხმა-დიდი. იგი ჩუმია და წყნარი, როგორც მართალი, რომელსაც მსაჯული ემსახურება, ხოლო ისე დიდიც არის, როგორც მართალივე, რომელიც მსაჯულს ცხოვრებაში შეჰყავს სათნოების გამარჯვებისათვის ქვეყანაზედ. სადაც მართალი არ არის, იქ არც ზოგადი ცხოვრებაა ადამიანისა, არც საზოგადოებაა, არც სახელმწიფოა, არც კაცობრიობა, არც პროგრესი. ამიტომაც გადამეტებული არ იქნება ვსთქვა, რომ მოსამსახურე მართლისა პროგრესის მოსამსახურეა. თუმცა ესეა, მაგრამ წყნარს და ჩუმს მოსამსახურეს მართლისას წილად ხდომილი აქვს ხმა-ამოუღებელს შეუმჩნეველობაში განახორციელოს თავისი საგანი ცხოვრებისა, თავისი დანიშნულება. მაგრამ მით უფრო დიდის პატივის, დიდის თაყვანისცემის ღირსია იგი, ვინც არა-ხმა-დიდსა, თავდაბალს დანიშნულებას თავისას აამაღლებს ხოლმე ნამოქმედარის სიკეთითა და იმ მსოფლიო პროგრესის თანაცნობითა, რომლისათვისაც იგი გამოუმჟღავნელი, უხილავი და არ-შემჩნეული მშრომელია.

რა ხარისხზედაც გინდათ იდგეს ადამიანი, რა საქმეც უნდა ხელთ ჰქონდეს, დიდი თუ პატარა, —ეს იმისათვის შესაძლებელია, თუ ეს ერთი მშვენიერი წესი თავის ცხოვრების კანონად გაიხადა: «აღასრულე შენი ყოველდღიური მოვალეობა». ამაშია მთელი გონიერება, მთელი ზნეობითი აზრი ყოველის ადამიანის ცხოვრებისა, როგორც კაცისა და როგორც მოქალაქისა. უპირველესი ხმა-დიდის საქმის ქმნა კი არ არის, არამედ ამ წესის აღსრულება „ამაშია უმაღლესი ზნეობა, ამბობს სამართლიანად ერთი ფილოსოფოსი: ამაშია ჭეშმარიტი ბედნიერებაო." და აი ორმოც-და-ათის წლის ხანი თქვენის მოღვაწეობისა, ბ-ნო იასე ადამის ძევ, განუწყვეტელი განხორციელება იყო ამა წესისა. ეს ნახევარ საუკუნის განუწყვეტელი გრეხილი ჩუმისა და წყნარის ღვაწლისა შეადგენს იმას, რასაც მოქალაქობრივს ქველობას ეძახიან, რაც ჩვენ ვცანით, დავაფასეთ და რასაც დღეს აქ მოწვეულნი თქვენად და თქვენით პატივსა ვცემთ და გილოცავთ.

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

რუსეთის ოფიციოზურ გაზეთებს, რომელნიც ფრანგულ ენაზე იბეჭდებიან, ცუდი საქმე ემართებათ, როგორღაც გზა აეწყვათ, ნახტომი შეეშალათ, ერთს მეორისა არა ესმის რა, ერთი ერთს გაიძახის, მეორე სულ წინააღმდეგს ამბობს. აი, მაგალითად, ოფიციოზური, გაზეთი „Nord"-ი ამბობს, რომ მე ნამდვილად ვიცი რუსეთის პოლიტიკის მიმართულებაო, და საქვეყნოდ აცხადებს კიდეცა. დღეს მეორე ოფიციოზური გაზეთი „Journal de St.-Petersbourg"-ი საჯაროდ აცხადებს, რომ გაზეთი «Nord»-ის ამბები უსაფუძვლოა, ტყუილის ოცნების ნაყოფიაო.

რომელ ერთს დაუჯეროს კაცმა? გაზეთი „Московскія Вѣдомости" საფუძვლიანად ამბობს ამის შესახებ:

> რა უნდა გაიგონ ჩვენის ოფიციოზურის გაზეთებიდამ იმ უცხოელებმა, რომელთაც ჰსურთ შეიტყონ, რას ფიქრობს რუსეთი, რა განზრახვა აქვს, რა გზას ადგია ჩვენი პოლიტიკა? არაფერი. ჩვენ ოფიციოზურს გაზეთებს რომ წაიკითხვენ და დაინახვენ, რომ ერთი ერთს ამბობს, მეორე მეორეს, თავს გაიქნევენ და მხოლოდ ამასღა იტყვიან: ეტყობა, იქ თითონაც კარგად არ იციან, რა ჰსურთო.

გაზეთი ირსავე ოფიციოზურს გაზეთს დარიგებას უკითხავს და უკითხავს თავისებურად, ბევრს მაგარს და მკვახე სიტყვებს უძღვნის.

ესეც კი უნდა ვსთქვათ, რომ «Московскія Вѣдомости» ამ რამდენისამე დღის წინად სულ სხვა აზრისა იყო, აქებდა კიდეც იმავე გაზეთს „Nord"-სა, რომელსაც დღეს ასე სასტიკად ეყრობა. გაზეთ „Московскія Вѣдомости"-სათვის ეს ახალი ამბავი არ არის.

მაგრამ დავუბრუნდეთ ისევ საქმესა. გაზეთი „Московскія Вѣдомости" დღეს აი რას უკიჟინებს ოფიციოზურ გაზეთებსა:

> სხვა რომ არა იყოს-რა, იმდენი კეთილგონიერება მაინც უნდა გამოეჩინათ ოფიციოზურ გაზეთების მოამბეთა, რომ წარა-მარა, უთავბოლო ლაპარაკი არ დაეწყოთ, არ გამოექვეყნებინათ დაწვრილებით, რა პლანები, რა განზრახვა აქვს იმ მთავრობას, რომელსაც თვითონ ემსახურებიან და ვითომ ერთგულობას უწევენ. ღმერთმა ყველა იხსნას ამისთანა ერთგულ მოსამსახურეთაგან, რომელთაც არა საიდუმლო პირზე არ ადგებათ. მართალია, თავად ბისმარკმა თითქმის მოდად შემოიღო პირ-და-პირ, გულ-ახდილად ლაპარაკი, საიდუმლო განზრახვის საქვეყნოდ გამომჟღავნება და ბისმარკს დიდი სარგებლობაც მოუტანა ამისთანა გულ-ახდილობამ. მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ ბისმარკის გულ-ახდილი, პირ-და-პირი ლაპარაკი სულ სხვა გვარია, ხერხიანია, ბისმარკი უფრო ხშირად, საკვირველის გულ-ახდილობით, პირ-და-პირობით იმას გამოსთქვამს ხოლმე, რაც აზრადაც არა აქვს, და გამოაჟღავნებს ხოლმე ისეთს გეგმებს, რომელმაც მტერს თვალი უნდა აუბნიოს. აი როგორ იქცევა ბისმარკი, აი როგორ უშლის ხოლმე გულს მტრებსა! ჩვენი მეჭორე ოფიციოზები როგორღა მოიქცნენ? ამათ ყველაფერი, ისიც კი, რაც მთავრობას გულში უდევს და დიდ საიდუმლოდ ინახავს, ხელის გულივით გადაუშლიეს და ჩვენს მტრებს პირში ჩაახარეს. იმათაც ეს უნდოდათ!..

მართალს ამბობს გაზეთი, მაგრამ ეხლა რაღა დროსია:

წამხდარსა საქმეს რას არგებს
მერმედა თითზედ კბენანი?

* * *

ჩინეთის იმპერატორიც ფულს ხელს უჭერს, ყაირათობს, ანუ „ეკონომიასა" სწევს, როგორც ჩვენში ჩიქორთულად იტყვიან ხოლმე.

ვაი გაზეთი «Правительственный Вѣстникъ»-ი რას მოგვითხრობს.

> ამას წინად ჩინეთის იმპერატორს დიდი დღესასწაულობა ჰქონდა ძველის ჩინურის ადათით. ამ დღეს იმპერატორს უნდა მოეპატიჟნა ჩინეთის ყველა წარჩინებულნი დიდ კაცნი და სადილი გაემართნა. მაგრამ გამოიანგარიშეს და დაინახეს, რომ სადილი 800 ათასი მანეთი ჯდება. იმპერატორმა ასეთი დიდი ხარჯი ძალიან იმძიმა და სადილი აღარ გამართა, თუმცა ეს ადათის და ჩვეულების წინააღმდეგი იყო.

აი სირცხვილი! ჩვენში ასეთს საქმეს ვინ იკადრებდა! თავს გაიყიდდა და სტუმრებთან კი არ შერცხვებოდა. საქებურია, მაგრამ მაინც ურიგო კი არ იქნებოდა, რომ ჩინელებისაგან ცოტა ჭკუა გვესწავლა!

წერილი რუსეთიდამ

ოდესა, 12 თებერვალს. ოდესის სასულიერო სემინარიაში 12 თებერვალს იყო გამართული საღამო. ამ საღამოზე

აქედან იყო თუ იქიდან, ამხანაგობას ფული არ მოაკლო; კუხისა და გუბის ამხანაგობასაც მოუმართეს ხელი ამ გვარსვე შემთხვევაში მღვ. პეტრე ცაგერეიშვილმა (მიაბარა იაფ სარგებლით ას თუმანზედ მეტი) და ხონის ვაჭარმა ე. გორდაძემ (მიაბარა 300 მან.). ამ გვარად ამ ორ ამხანაგობათა საქმეს თავიდამვე ეშველა: ამხანაგობამ თან-და-თან ხალხში ნდობა მოიპოვა: კასსას მოსაბარებელი ფული მოუვიდა; გასესხებული ფულებიც თავ თავის ვადაზედ დაუბრუნდა; ამხანაგობა გამგეობას ნდობით უყურებს, ესეც თავის მხრით მიენდო წესდებას და მისს ერთს მუხლსაც არა სტოვებს შეუსრულებლად; უთაურ მოვალეებს დედაშვილურად ვერ ექცევა... ერთის სიტყვით, დატრიალდა ფული და ცოტაც ბევრად გამოჩნდა: საქმე კარგად მიდის.

მაგრამ არ შეიქნა ამხანაგობა კარგს მთვარეზედ დაბადებული; კვიმატს დღესა და საათს გამოფიქრებული გამოდგა. ამ გვარს ამხანაგობის მაგალითს წარმოგვიდგენს ხონის ამხანაგობა. აქ თავდაპირველად საქმეს ბევრი სიძნელე არ აღმოსჩენია; ფული ყველას ჰქონდა და, თუმცა გამგეობის ნდობა მაგრე რიგად არა ჰქონდათ (ვინ ხონელი, ნამდვილი ხონელი და ვინ ნდობა ფულის საქმეში?!), მაგრამ მაინც არ დაიშურეს ხუთ-ხუთის თუმნის გამოღება. ჰფიქრობდნენ: ხუთის თუმნის მაგივრად ხვალვე შვიდს თუმანს და ნახევარსაც ვისესხებ, მეც არ ვიცი რას დავკარგავო! სთქვეს და შეასრულეს. ფული თვალის დახამხამების უმალვე გასესხდა და გასასესხებლად აღარა დარჩა-რა. იმის მაგივრად, რომ ფულიან ხონელებს ჯიბეზედ ხელი გაეკრათ და ამხანაგობისთვის იაფ-სარგებლით ფული ესესხებინათ, ამათ სრული უარი უთხრეს ამხანაგობის გამგეობას, როდესაც გამგეობამ შემდეგის თხოვნით მიჰმართა მათ: „ფული არა გვაქვს, უნდა სადმე ვისესხოთ, მაგრამ თუ საზოგადო ყრილობამ არ დაადგინა და არ მოგვანდო ამხანაგობისთვის ფულის სესხება, ისე წესდებით ნება არა გვაქვს ვისესხოთო." ყრილობამ, ჩვენში რომ იტყვიან, „ქვა ააგდო და თავი შეუშვირა", ფულის სესხებაზედ უარი განაცხადა, ესე იგი თავისსავე გამგეობას არ ენდო და ამით თითონვე გაუთხარა ძირი თავის აგებულ შენობას, მოუსპო ამხანაგობას ყოველი გზა წარმატებისა, რადგან თითონვე დაუკარგა მას ნდობა და სარისტა ხალხში. ამას ზედ დაერთო გამგეობის მხრითაც უზრუნველობა; წესდებას ყური აღარ ათხოვა, გასესხებული ფულები უკან აღარ მოითხოვა, და... გადნა ამხანაგობა. ცხადია, რომ ამ შემთხვევაში ამხანაგებს მცირეოდენი წარმოდგენაც არა ჰქონიათ ამხანაგობის წესდებისა და ეს მთლად, ერთიანად უნდა დაჰბრალდეს ამხანაგობის დამაარსებელ მოთავეეთა.

მოკლედ რომ ვსთქვათ, ზემოდ ნათქვამიდამ ის გამოდის, რომ თუ გასამართავ ამხანაგობას არა ჰყავს მოთავე, რომელსაც ესმოდეს ამხანაგობის დედა-აზრი, დანიშნულება და წესდება, და თუ ამასთანავე, მოთავეს, წილის ფულის გარდა, სხვა არ საიდგან იმედი არა აქვს იშოვოს იაფ-სარგებლით ასიოდე თუმანი მაინცა, —ამისთანა ამხანაგობისათვის წესდების წერაც მეტი ჯაფაა. თავი და თავი ამ საქმეში კაცია და ფული. ფული კიდე როგორც იქნება იშოვება, ოღონდ კაცი იყოს ისეთი, როგორიც ამ საქმეს უნდა.

რა თავში ვიხლით ახალ ამხანაგობას, რა გულით და იმედით უნდა შევუდგეთ ახალის გამართვას, როცა ისიც არ ვიცით, ამის უფროსს ძმებს რა ყოფა აქვთ და რა მოუვიდათ: იწყევლიან თავის გაჩენის დღეს, თუ ლოცვა-კურთხევით იხსენიებენ? ნათქვამია, წინა კაცი უკანასი ხიდიაო. ნუ თუ ჩვენის ამხანაკობათა ამდენის ხნის არსებობამ არა-რა უნდა შესძინოს უმცროსს ძმებსა?! ნუ თუ ყოველმა ახალმა ამხანაგობამ ხელ-ახლად უნდა იკვალოს გზა ცხოვრებისა და არა-რა უნდა ისწავლოს იმ ამხანაგობათა წარსულიდან, რომელნიც არსებობენ ათი-თორმეტი წელიწადია?!. თუ უსარგებლოდ და, იქნება, მავნებლადაცა ვთვლით სასოფლო გამსესხებელ-შემნახველ ამხანაგობასა, მაშ უნდა პირ-და-პირ და საქვეყნოდ ვაღიაროთ ესა, რომ სხვა მაინც აღარ შესცდეს და ახლო აღარ მიეკაროს ამხანაგობას; თუ სასარგებლოდ და, პირ-და-პირ, მიუცილებელ საჭიროებადაც მიგვაჩნია გავრცელება ჩვენს სოფლებში გამსესხებელ-შემნახველ ამხანაგობისა, მაშ ჩვენის მოქმედებით ამას უნდა ვამტკიცებდეთ, თორემ რასა ჰგავს ჩვენი გულ გრილობა ამ მართლა კეთილ და სასარგებლო საქმეში?!

ოდესმე ყოფილ ამხანაგობათა დასახმარებლად ტფილელ კომიტეტზედ არას ვამბობ; ვიტყვი მხოლოდ, რომ „ივერიის" პატივცემული რედაქცია, თუმცა, ვიცით, თავისი საკუთარი საქმეებიც ერთობ ბევრი აქვს, კარგს იზამს, მიჰმართოს კერძო წერილებით ზემოხსენებულ ამხანაგობათა გამგეობათ და დაავალოს, რომ გაუგზავნონ რედაქციას ამხანაგობათა წლიურ დამტკიცებულ სრულის ანგარიშების პირები (იმ ბლანკებზედ, რომელნიც მოსდით ამხანაგობათა პეტერბურგიდგან). ამ ანგარიშებით ერთს დღეს იხელმძღვანელებს პატივცემულის რედაქციის ერთი ერთი თანამშრომელი და, რამდენადაც შესაძლო იქნება იმ ანგარიშებიდგან, გააცნობს საზოგადოებას ჩვენებურ ამხანაგობათა მდგომარეობას, ავსა და კარგსა.

ნარი

დაესწრნენ: ხერსონის და ოდესის მთავარ ეპისკოპოზი ნიკანორი, ელიზავეტო გრადის ეპისკოპოზი მემნონი, საეპარქიო სასწავლებლის მზრუნველი გრიგოროვიჩი, სემინარიის რექტორი, ინსპექტორი, მასწავლებლები და აგრეთვე სხვა მრავალნი გარეშე ხალხნიცა სალამოზე ხორომ, რომელიც შესდგებოდა თითქმის ორმოცის კაცისაგან, სემინარიის გალობის მასწავლებლის მაკაევისკის ლოტბარობით, იგალობა სხვა-და-სხვა საგალობლები. თვით ოდესის სემინარიის მოწაფეთაგანვე შედგენილმა ორკესტრმა მშვენივრად დაუკრა სხვა-და-სხვა ახალი პიესები, რომელსაც ხორო ამბობდა გალობით. სალამოზე იყო მოწვეული ერთი არტისტი-ქალი. ეს ქალი ფორტოპიანოს ხმაზე მღეროდა. ფორტოპიანოს უკრავდა სემინარიის ინსპექტორის მეუღლეს სალამო გათავდა შუა-ღამისა. გათავებისას მთავარ ეპისკოპოსმა ნიკანორმა წარმოსთქვა სიტყვა და შეაქო სემინარიის ხორო და ორკესტრი. მან სთქვა: „მე ეხედავ, რომ სემინარიაში მუზიკის სწავლა უწინდელზე ბევრად წინ წასულა. ბევრგან ვყოფილვარ სასწავლებლებში მიწვეული, მაგრამ ამისთანა გავარჯიშებული ხორო არ მინახავსო. ორკესტრს რაც შეეხება, ამას კითხვა აღარ უნდა ჯერ მაგალითი არსად ყოფილა, რომ სემინარიაში ამისთანა ორკესტრი ყოფილიყოსო".

ჩვენ გავიგეთ, რომ ტფილისის სემინარიის რექტორს მ. პაისს უყიდნია სკრიპკები, დაურიგებია მოწაფეთათვის, ვისაც ჰსურს, შეუძლიან ისწავლოსო. ვისურვებთ, ბ-ნ პაისის აზრი შესრულებულიყოს ვგონებთ ყველასათვის სასიამოვნო იქნება, ტფილისის სემინარიაში მუსიკის სწავლამ ფეხი მოიკიდოს, დიაღაც სასურველია, რომ ტფილისის სემინარიას თავისი საკუთარი ორკესტრი ჰყავდეს, შეგირდებისაგანვე შემდგარი. ამ ხანებში ოდესაში დიდი სიცივეები. დაიწყო ცხრა თებერვლამდის ან სულ არ გვინახავს თოვლი თვალით და, თუ გვინახამს მიწა არ დაუფარავს. ეხლა კი დაიწყო თოვლა სალამოს ხუთ საათზე და ისე მალე დაეტყო მიწას, რომ შვიდ საათზე მარხილებით სიარული გაიმართა. სამ დღეს ითოვლა ხან გამოშვებით. ამას მოჰყვა ყინვები. გარედ მყოფს ყურები ჭარხალივით უხდება. თუმცა ოდესაში დიდი სიცივებია, მაგრამ ხალხი მაინც არ აკლდება სხვა-და-სხვა გასართობს, როგორიც არის, მაგალითად: თეატრი, მასკარადი, ბალი, სალამოები და სხ. თეატრს ხალხი ისე ედება, როგორც ბუზი თაფლს. ნამეტნავად ყველიერში თეატრი გაჭედილი იყო ხალხით. ყველიერში დღეში ორჯელ იყო წარმოდგენა დღისით და ღამ ღამობით. ბილეთს, თუ ორის და სამის დღის წინად არ იყიდდით, მერე ვეღარ იშოვიდით. რასაკვირველია, იმისთანა არტისტი ქალები და კაცები, როგორნიც არიან პეტიპა და მისი ცოლი, კომიკოსი ჩუქბინოვი, სტრელსკი, ოლგინა და გლავნო მეშჩერსკაია, ხალხს მიიზიდევენ თეატრში. ზამთარში ახალგაზდობამ, როგორც ვაჟებმა ისე ქალებმა, იციან ყინვაზე ცურაობა (КАТОКЪ). გზაზედ ბევრს შეხვდებით, რომლებსაც ხელში დაუჭერიათ რაღაცა ფეხზე მისაკრავი რკინები (КОНКИ) და მიდიან ყინვაზე საცურაოდ ამ ხანებში ერთმა სტუდენტმა, ცურაობის დროს ფეხი მოიტეხა. სტუდენტი საავად-მყოფოში გაგზავნეს მოსარჩენად. ფეხი ისე მძიმედ დაუშავდა, რომ ძნელად და მორჩებაო.

აქ ხმა ისმის, რომ «Моск. Вѣд.»-ის რედაქტორს ბ-ნს კატკოვს განზრახვა აქვს დიდი ყოველ-დღიური სალიტერატურო და საპოლიტიკო გაზეთი ბეჭდოს ოდესაშიო და საკუთარი სტამბა დააარსოს ამისათვისაო.

დ. ბ—ლი.

* * *

უცხოეთი

ბოლგარია. სარეგენტო მთავრობას ბოლგარიისას დიდის პატივით მიუღია სულთანის მიერ ბოლგარიაში წარგზავნილი განსაკუთრებითის მინდობილებით აგენტი რიზა-ბეი.

— გაზ. „Daily News"-ში ერთი წერილია დაბეჭდილი პეტერბურგიდგან. ამ წერილის ავტორი ამბობს, რომ პეტერბურგში დიდად უკმაყოფილონი არიან ოსმალეთისაო. ოსმალეთი რუსეთს არწმუნებდა ამას წინად, რომ ყველაფერში შენს ფეხს ხმას ავყვები, მომხრეობას გაგიწევ და ახლა-კი ნამდვილად შევიტყეთ, რომ გერმანიის თხოვნით შეუკენებია ოსმალეთს ცანკოვთან ბოლგარიის საქმის გადაწყვეტაზედ მოლაპარაკებაო.

— ვენიდგან აუწყებენ პარიჟის გაზეთებს, რომ სოფიიდგან თან-და-თან უფრო ცუდი და არა-სასიამოვნო ამბები მოგვდისო. რეგენტები ვერა რიგდებიან ერთმანერთში, მუტკუროვი ცანკოვთან მორიგებას არის მოწადინებული, მეორე რეგენტები-კი დიდის სიძულვილით იხსენიებენ ცანკოვის დასის ყველა წევრთ. ამ ბოლოს დროს ბოლგარიაში ხან სადა და ხან სად ასტყდება ხოლმე ამბოხება და შფოთი, სარეგენტო მთავრობას გავლენის დაკარგვისა ეშინიან ბოლგარიის მკვიდრთა შორის და ამიტომ ძალასა ჰხმარობს, რომ შიშით დაიმორჩილოს მეამბოხენი. რუსეთისა და საფრანგეთის გაზეთებს ფოსტაში მიღებისთანავე სწვავენ. კერძო წერილებსაც კი ხსნიან და კითხულობენ პოლიციის აგენტები მთავრობის მიერ დანიშნულნი და მერე ისე ურიგებენ პატრონთაო.

— გაზეთი „Fremdenblatt"-ი ამბობს, რომ არ იქნა, არა ეშველა-რა, ვერაფრით მოეღო ბოლო ამ ბოლგარიის დაუბოლოვებელს საქმესაო. ამდენი ატრიალეს ეს შავი და ბნელი საქმე, ხან აქეთ ატარეს, ხან იქით და მაინც-კი ისევ იმ მდგომარეობაშია, რა მდგომარეობაშიაც იყო პრინც ბატტენბერგის ბოლგარიის წასვლიდგან რამდენისამე თვის შემდეგაო. თითქოს ოსმალეთმაც მოჰკიდა ხელი და გვიმედებდა, რომ მშვიდობიანად დავაბოლოვებ ამ საქმესაო, მაგრამ ოსმალეთის ჩარევამაც არა უშველა-რა ამ საქმეს. თითქოს დიდთა სახელმწიფოთა წარმომადგენელთაც სტამბოლში მხარი დაუჭირეს ოსმალეთს და ამ საქმის დაბოლოვება მოიწადინეს, მაგრამ არც ამ გარემოებას მოჰყვა სასურველი ბოლო. ასე რომ სრულიად დავკარგეთ იმედი, რომ ბოლგარიის საქმე გარდასწყდეს როგორმე, ან თუ გარდასწყდეს, მშვიდობიანად გარდასწყდესო. ჩვენის აზრითაო, ამბობს გაზ. „Fremdenblatt"-ი ბოლგარიის საქმეს არა ეშველება-რა იმ დრომდე, ვიდრე ბოლგარიაში სხვა-და-სხვა ერთმანერთის მოწინააღმდეგე დასნი არ მოურიგდებიან ერთმანერთს და უყველისავე ღონის-ძიებას არ იხმარებენ, რომ ბოლგარიის საქმე ისე გადააწყვეტინოს და დააბოლოვებინოს დიდთა სახელმწიფოთ, როგორც მათთვის უფრო სასურველი იყოს და ბოლგარიის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის სასარგებლოდო.

გერმანია. გაზ. „Morning Post"-ი ამბობს, რომ ინგლისი და გერმანია არას დროს არა ყოფილან ისე დამეგობრებულნი და დაახლოვებულნი ერთმანერთთან, როგორც ამ ჟამად არიანო.

— «National Zeitung»-ი ამბობს, რომ იმპერატორი ვილჰელმი დაესწრობა რეისხტაგის პირველს კრებას და სეფე-სიტყვას თვითონვე წაიკითხავსო.

— ბერლინელი კორრესპონდენტი გაზ. „Koln. Zeitung"-ისა ამბობს, რომ ჯერ გარდაწყვეტილი არ არის, თვითონ ვილჰელმი წაიკითხავს სეფე-სიტყვას, თუ არაო. ექიმები აფრთხილებენ, რომ ყოველსავე დაღალულობას მოერიდოთ და ამიტომ შესაძლებელია, რომ იმპერატორი სეფე-სიტყვის წაკითხვას თვითონ დაიწყებს და შემდეგ ბისმარკს გარდასცემსო.

ინგლისი. „Pall-Mall Gazette"-ი ამბობს, რომ ინგლისსა, გერმანიას და ავსტრიას საგერო და სატევო კავშირი შეუკრავთ ერთმანერთში ევროპის მშვიდობიანობის დასაცველადაო. იტალიაც დაუყოვნებლივ შეუერთდება ამ კავშირს, შესდგება თუ არა ახალი კაბინეტიო. ამ კავშირზედ დიდი ბასი ჰქონდათ ამ სახელმწიფოთ და უკანასკნელად ღრმად საიდუმლოდ და გრძლივ [illegible] მოილაპარაკესო. ამ კავშირს უპირველესად ყოვლისა ისა სურს, რომ ბოლგარიის თავისუფლება და დამოუკიდებლობა დაიცვას და ამას გარდა ეცადონ, რომ ინგლისი უფლობდეს ეგვიპტეშიო. ამ მოკავშირე სახელმწიფოთ პირობა აქვთ შეკრული აგრეთვე, რომ ერთმანერთს შეეწევიან აღმოუჩინონ, თუ რომელსამე მოკავშირეს ბრძოლა მოუხდა სხვა სახელმწიფოსთან. მაგალითებრ, თუ საფრანგეთი ომს გამოუცხადებს გერმანიას ელზას ლოტარინგიის დასაბრუნებლად, სხვა გერმანიის მოკავშირე სახელმწიფონიც ისე შეჰხედავენ ამ გარემოებას, ვითომ მათთვის გამოეცხადებინოს საფრანგეთს ომიო. აგრეთვე თუ რუსეთსა და ავსტრიას ბრძოლა მოუხდათ, გერმანია და ინგლისი დაეხმარებიან ავსტრიასაო.

ოსმალეთი. უკვე ამოურჩევიათ სტამბოლის მსოფლიო პატრიარხი. პატრიარხად ამოურჩევიათ ანდრიანოპოლის მიტროპოლიტი დიონისი. უკანასკნელ რუსთ-ოსმალოს დროს დიონისს ოსმალეთის მხარე ეჭირა და, რუსეთის გაზეთების სიტყვით, ოსმალეთის მთავრობას იმიტომ ამოურჩევია დიონისი პატრიარხად, რომ რუსეთის კეთილის მსურველი არ არისო და მტერიაო.

ჩერნოგორია. ავსტრი-ვენგრია ამას წინად ძალიან ჰკიცხავდა ჩერნოგორიას იმის გამო, რომ გაცხარებული ემზადება საომრად და როგორც ეტყობა, ბრძოლასა ხარ მოწადინებულიო. გაზ. „ხმა ჩერნოგორიელისა" აი რა პასუხს აძლევს ავსტრი-ვენგრიის გაზეთებს: „დიდი სიცრუეა და ავსტრიის გაზეთების მიერ განგებ გავრცელებული ხმა, ვითომ ჩვენ საომრად ვემზადებოდეთ და ომს ვიყვენეთ მოწადინებულნი. ამას წინადაც ტყუილად გაავრცელეს ავსტრიის გაზეთებმა ხმა, ვითომ ოსმალეთის ელჩს ჩერნოგორიაში ჯევათ-ფაშას შეეტყობინებინოს თავის მთავრობისათვის, ჩერნოგორია დიდს საომარს მზადებაშიაო.

— გაზ. „Temps"-ს აუწყებენ სტამბოლიდგან: ოსმალეთის სამხედრო აგენტი ცეტინიეში შაქირ-ფაშა თავის მთავრობამ დაიბარა სტამბოლში, რომ პირად გამოჰკითხოს, მართლა საომარ მზადებაშია ჩერნოგორია, თუ არაო.

— ამავე გაზეთის სიტყვით, რუსეთის ელჩს სტამბოლში გამოუცხადებია ოსმალეთის მთავრობისათვის, რომ ჩერნოგორია თუ იარაღს ისხამს, მტრის მოსაგერებლად ისხამს და არა იმიტომ, ვითომც ვისთანმე ომს იყოს მოწადინებულიო.

* * *

გასართობი

სად რამდენი გაზეთი გამოდის. ინგლისურს ენაზედ სულ 16,500 გაზეთი და ჟურნალი გამოდის, ასე რომ ინგლისში 1,000,000 მცხოვრებზე 200 გაზეთ-ჟურნალი მოდის. გერმანულს ენაზედ სულ 7,300 გაზეთ-ჟურნალი იბეჭდება; 1,000,000 გერმანელზედ—130 გაზეთი. შვედურს ენაზედ 484 გაზეთია და 1,000,000 მცხოვრებზედ—80 გაზეთი. გოლანდიურს ენაზედ 435 გაზეთია, 1,000,000 გოლანდიელზე—100 გაზეთი. დანიურს ენაზედ 61 გაზეთია და 1,000,000 დანიელზედ 30 გაზეთი მოდის. ფრანგულს ენაზედ სულ 3,850 გაზეთი იბეჭდება, 1,000,000 მცხოვრებზედ—100 გაზეთი. ესპანიურს ენაზედ 1,600 გაზეთია. პორტუგალიურს ენაზედ 170 გაზეთი. იტალიურს ენაზედ 1,180 გაზეთი და 1,000,000 მცხოვრებზედ—45 გაზეთ-ჟურნალი მოდის. ბერძნულს ენაზედ 90, ერთს მილლიონს მცხოვრებზედ—30. რუმინურს ენაზედ 19 გაზეთ-ჟურნალი. რუსულს-ენაზედ—560; რუსეთში 1,000,000 მცხოვრებზედ ხუთი გაზეთი მოდის. ჩეხურს ენაზედ 260 გაზეთი იბეჭდება; 1,000,000 მცხოვრებზედ—50 გაზეთი. პოლშურ ენაზედ 270 ჟურნალ-გაზეთი, 1,000,000 მცხოვრებზედ—22 გაზეთი. ხორვატულს ენაზედ 36 გაზეთი გამოდის, სლავიანების ენაზედ—33 გაზეთი, სერბიულზედ—22, ბოლგარულზედ—11, სლავიანურზედ—8, ლუჟიჩელების ენაზე—6; ქართულს ენაზედ 4 გაზეთი გამოდის, 1,000,000 სულზედ 2 გაზეთი. ამ გაზეთების გარდა მთელს დედამიწის ზურგზედ ითვლება კიდევ 1,426 გაზეთ-ჟურნალი.

**

კიბოები წერილში. ერთმა მემამულემ ასი კიბო გაუგზავნა ფეშქაშად მეორე სოფელში თავის მეგობარს თავისის მოჯამაგირის ხელით. გზაში მოჯამაგირეს ერთს წყლის-პირას მიეძინა, კიბოები მთლად გამოეპარნენ კალათიდამ და შელალალდნენ მდინარეში. გამოეღვიძა მოჯამაგირეს და ძალიან გაუკვირდა და ეჯავრა, რომ კიბოები ვეღარა ნახა და კალათა ცარიელი დახვდა. მაგრამ, რა გაეწყობოდა, ადგა და მარტო წერილი წაუღო თავის ბატონის მეგობარსა. მეგობარმა წაიკითხა წერილი, წერილის მომტანს ერთი ჯამი ღვინო გადააკვრევინა და უთხრა:

— დიდი მადლობა მოახსენე შენს ბატონს კიბოების გამოგზავნისათვის, მით უფრო, რომ საშინლად მიყვარს კიბოს ჭამაო.

— მადლობა ღმერთს, რომ კიბოები წერილში ყოფილანო!—წამოიძახა გახარებულმა გლეხმა: მეც არა ვთქვი, რა იქნენ-მეთქი.

დეპეშა

24 თებერვალი

სტრასბურგი. აქაურმა მთავრობამ აღკრძალა ის სიმღერისა და გიმნასტიკის საზოგადოებანი, რომელთაც ფრანგული მიმართულება ჰქონდათ.

ლონდონი. საზოგადოებათა პალატას აუწყეს, რომ იმედია ვოლფი კარგად დააბოლოვებს ეგვიპტის საქმესაო; ვოლფის სხვა-და-სხვა წინადადებას ეგვიპტის შესახებ არა თუ ეწინააღმდეგებიან, არამედ ზოგიერთნი კიდევაც ემხრობიან; ინგლისი არა ფიქრობს ჯარები გამოიყვანოს ეგვიპტიდამ, ვიდრე იქ რიგიანი წეს-წყობილება არ დამყარდებაო.

სტამბოლი. რიზა-ბეი ურჩევდა რეგენტებს, სიკვდილით ნუ დასჯით დამნაშავეთ მთავრის ამორჩევამდეო. რუსეთის ელჩი სტამბოლში თხოულობდა, რომ რიზა-ბეის უბრძანეთ, ინახულოს ტყვედ-შეპყრობილნი კონსულებთან ერთადაო. გერმანიის ელჩსაც რუსეთის ელჩის მხარე ეჭირა ამ საქმეში.

რომი. გაზეთი „ტრიბუნი" გვარწმუნებს, რომ იტალიისა, ავსტრიისა და გერმანიის შორის შეიკრა საგერო და სატევო კავშირიო. ამ კავშირის ძალით, იტალია კისრულობს დაეხმაროს ავსტრიას რუსეთის წინააღმდეგაო და სამაგიეროდ ავსტრია საიტალიო ტიროლს დაუთმობს იტალიასაო, ხოლო გერმანიას ჰპირდება დახმარებას საფრანგეთის წინააღმდეგაო, რისთვისაც მიეცემა იტალიას თუნისი და კონსტანტინაო.

ბუქარესტი. ბურგასის გამგებლებმა მოსთხოვეს რუმინიას, მანდ გადმოხვეწილნი და გადმოხიზნულნი ბოლგარელნი დაგვიბრუნეთო. რუმინიამ უარი შეუთვალა; მაგრამ ბენდერევს და თეოდოროვს კი პატიოსანი სიტყვა ჩამოართვა, რომ ბუქარესტიდამ არსად წახვიდეთ სადმე, და თუ წახვიდეთ, წინ-და-წინ პოლიციას შეატყობინეთო.

პეტერბურგის ბირჟა, 24 ს თებერვალს

ფასები:

	მყიდველისა	გამყიდველისა	გარიგებისა
	მან. კ.	მან. კ.	მან. კ.
ხუთ-მანათიანი ოქრო	— »	— »	9 30
ტამოჟნის კუპონები . .	— »	— »	179½
5% პირველის შინაგანის სესხ.ს მომგები ბილეთი	— »	— »	244½
— მეორისა	— »	— »	238½
გირავნობის ფურცელნი:			
ტფილისის ბანკისა. . .	— »	— »	— »
ქუთაისის ბანკისა . . .	— »	— »	— »
ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა.	— »	— »	— »

* * *

საკალენდარო ცნობანი

აღდგომა—5 აპრილს, ამაღლება 14 მაისს, სულის წმინდის მოსვლა 24 25, პეტრე-პავლეს მარხვა 1 ივნისს. ეს მარხვა 1887 წელს 4 კვირით არის.

თებერვალი 28 დღით არის

26 დღე ხუთშაბათი წმ. პორფირი ეპისკოპ. შობა მისს იმპ. დ. იმპერატორის ალექსანდრე ალექსანდრეს-ძისა, 42 წლ. კათოლ. ალექსანდრესი და ფორტუნატისა მუსულ. მე-16 დღე ჯემად-ულ-ახირის თთვისა, 1304 წ. ჰიჯრისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—10. ტფილისში მზე ამოდის 6—20, ჩადის 6—2; მთვარე ამოდის 7—17 საღ.

27 დღე პარასკევი. მოწ. პროკოპი ეპისკ. კათოლ. ლეონარდისა და ანასტასიასი. სომეხ. მე-12 დღე დიდ-მარხვიდგან. მუსულ. მე-17 რიცხვი თთვისა ჯემად-ულ-ახირისა, 1304 წ. ჰიჯრისა. უმაღლესად დამტკიცებულ იქმნა წესდება კავკასიის სამეურნეო საზოგადოებისა, 1850 წ. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—10. ტფილისში მზე ამოდის 6—18, ჩადის 6—3. მთვარე 17 დღისაა.

28 დღე შაბათი. ვასილი აღმსარებელ. მოწ. ნესტორ ეპისკ. კათოლ. რომანისა და რუფინისა. სომეხ. წმ. კირილე იერუსალიმელისა და სხ. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—10. ტფილისში მზე ამოდის 6—17, ჩადის 6—4.

Дов. ценз. Тиф. 25 февраля, 1887 г. Типографія „Кавказское Обозрѣніе" (Н. И. Френкель) Караванъ-Сарай Земельнаго Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე